



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



## 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

### არჩევნების შემდგომი პერიოდის ბეჭდვური მედიის მონიტორინგი

1 თებერვალი - 31 მარტი, 2021



INTERNEWS  
GEORGIA

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. მის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები. ანგარიშის შინაარსი შეიძლება არ ასახავდეს ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციას.

## სარჩევი

<b>პროექტის შესახებ</b> .....	3
<b>მონიტორინგის მეთოდოლოგია</b> .....	3
<b>ძირითადი შედეგები:</b> .....	4
გაზეთი „რეზონანსი“ .....	5
გაზეთი „ახალი თაობა“ .....	7
გაზეთი „ასავალ-დასავალი“ .....	10
გაზეთი „კვირის პალიტრა“ .....	13
გაზეთი „ქრონიკა +“ .....	15
გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ .....	19
გაზეთი „ალია“ .....	22
გაზეთი „გურია News“ .....	25
<b>გენდერულად სენსიტიური გაშუქება</b> .....	27

## პროექტის შესახებ

„ინტერნუსი - საქართველო“, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის - „2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ - ფარგლებში, ბეჭდურ მედიას აკვირდებოდა. წინამდებარე ანგარიში მოიცავს არჩევნების შემდგომი პერიოდის გაზეთების მონიტორინგის შედეგებს.

მონიტორინგი 2021 წლის 1 თებერვალი - 31 მარტის პერიოდში მიმდინარეობდა.

დაკვირვება ხორციელდებოდა 8 გამოცემაზე: „რეზონანსი“, „ახალი თაობა“, „კვირის პალიტრა“, „ალია“, „ასავალ-დასავალი“, „ქრონიკა+“, „საქართველო და მსოფლიო“, „გურია news“.

## მონიტორინგის მეთოდოლოგია

ბეჭდური მედიის მონიტორინგის მიზანი იმის განსაზღვრა იყო, თუ რამდენად თანაბარ პირობებში და ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით ხდებოდა პოსტსაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიების გაშუქება.

მონიტორინგი შედგება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის კომპონენტებისგან. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს ისეთ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაიზომოს: სუბიექტებისთვის დათმობილი ფართობი, გაშუქების ტონი (დადებითი, ნეიტრალური, უარყოფითი), სუბიექტის სქესი (კაცი თუ ქალი).

თვისებრივი მონიტორინგისას ყურადღება ექცევა ისეთ მაჩვენებლებს, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია: ფაქტების დროული გაშუქება, ინფორმაციის დამახინჯება, დაუბალანსებელი გაშუქება, მიუკერძოებლობა, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნება, ფოტოთი მანიპულირება, ეთიკური და პროფესიული სტანდარტების დაცვა, აგრეთვე ნებისმიერი ისეთი ფაქტი, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად. მონიტორინგის დროს ყურადღება ასევე ექცეოდა ისეთ გაშუქებას და ტერმინების გამოყენებას, რომლებიც პირდაპირი ან ფარული ფორმებით საზოგადოებაში დამკვიდრებულ გენდერულ სტერეოტიპებს აძლიერებენ.

მონიტორინგის დროს დაკვირვება ხდებოდა პარტიებზე და პოლიტიკოსებზე, რომლებიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდნენ. კერძოდ, მონიტორინგის სუბიექტები იყვნენ როგორც ის პარტიები, რომლებმაც 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შედეგად პარლამენტის მანდატები მოიპოვეს, ასევე ის პოლიტიკური გაერთიანებები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი პოსტსაარჩევნო პერიოდში განვითარებულ პროცესებში.

მონიტორინგი უტარდებოდა არა მხოლოდ პოლიტიკურ თემებზე მომზადებულ სტატიებს, არამედ ყველა მასალას, სადაც მონიტორინგის სუბიექტებზე იყო საუბარი. თუმცა, არჩევნების შემდგომ პერიოდში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე, მონიტორინგის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა შემდეგ თემებს: პარლამენტის ბოიკოტი, საარჩევნო სისტემის რეფორმა, საარჩევნო ადმინისტრაციის რეფორმა, პოლიტიკური პარტიების დაფინანსება, პარლამენტის ხელახალი არჩევნები, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, მიტინგები/ აქციები, ნიკა მელიას საქმე, მთავრობის ცვლილება, პოლიტიკური დიალოგი/მოლაპარაკებები.

ანგარიში მოიცავს 1 თებერვლიდან 31 მარტის ჩათვლით პერიოდის ბექდური მედიის მონიტორინგის შედეგებს.

## **1 თებერვალი - 31 მარტის პერიოდში გაზეთების მონიტორინგმა შემდეგი შედეგები გამოავლინა:**

- არჩევნების შემდგომ პერიოდში ბექდური მედია ისევე აქტიურად აშუქებდა პოლიტიკურ პროცესებსა და პოლიტიკური პარტიების აქტივობებს, როგორც წინასაარჩევნო პერიოდში;
- ყველაზე მეტად გაშუქდნენ „ქართული ოცნება“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;
- ყველაზე მეტი მასალა მომზადდა თემებზე: პოლიტიკური დიალოგი/მოლაპარაკებები, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის“ ნიკა მელიას დაკავება, პარლამენტის ბოიკოტი და მთავრობის ცვლილება;
- წინასაარჩევნო პერიოდის მსგავსად, პოსტსაარჩევნო პერიოდშიც, გაზეთების უმრავლესობამ („რეზონანსი“, „ახალი თაობა“, „კვირის პალიტრა“, „გურია ნიუსი“) მონიტორინგის სუბიექტები, ძირითადად, ნეიტრალურად გააშუქა, გამონაკლისს წარმოადგენდა რამდენიმე გამოცემა („ალია“, „ასავალ-დასავალი“, „საქართველო და მსოფლიო“), რომლებიც თითქმის ყველა პოლიტიკური ძალის მიმართ უარყოფითი განწყობით გამოირჩეოდნენ და ასევე „ქრონიკა+“, სადაც ყველაზე მეტი უარყოფითი გაშუქება მხოლოდ მმართველ პარტიას და მის ყოფილ ლიდერს დაუფროვდათ;
- გაზეთების ნაწილი, ხშირ შემთხვევაში, კვლავაც დაუბალანსებელ, ერთ წყაროზე დაყრდნობით მომზადებულ სტატიებს აქვეყნებდა;

- ზოგიერთი გაზეთის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად და გამოწვევად ისევ რჩება გადაუმოწმებელი და ინფორმაციის საექვო წყაროებზე დაყრდნობით მომზადებული მასალების გავრცელება და ამა თუ იმ პოლიტიკური სუბიექტის მიმართ დაუსაბუთებელი, მძიმე ბრალდებების წაყენება;
- რამდენიმე გაზეთში უხეშად ირღვეოდა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმები: გამოცემების ნაწილი პოლიტიკოსთა მისამართით კვლავაც იყენებდა შეურაცხყოფელ და არაეთიკურ ტერმინოლოგიას;
- წინასაარჩევნო პერიოდისგან განსხვავებით, ზოგიერთ გამოცემაში ისევ გვხვდებოდა შეურაცხყოფელი და დისკრიმინაციული შინაარსის ფოტოები;
- პოსტსაარჩევნო პერიოდში, ჟურნალისტების მიერ ქალი პოლიტიკოსების მიმართ გენდერული ნიშნით საფრთხის შემცველი განცხადებები არ გაკეთებულა და არც ისეთი შემთხვევები დაფიქსირებულა, როცა „ქალი“ და „ქალური ქცევა“ კაცი პოლიტიკოსების შეურაცხყოფისთვის გამოიყენება;

## გაზეთი „რეზონანსი“

ყოველდღიური გაზეთი „რეზონანსი“ ქვეყანაში განვითარებულ პროცესებს აქტიურად აშუქებდა. გამოცემა თემების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა - გაშუქდა პოსტსაარჩევნო პერიოდის ყველა აქტუალური თემა, რომლებსაც მონიტორინგის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. გაზეთი პოლიტიკურთან ერთად ეკონომიკური და სოციალური თემების გაშუქებასაც დიდ ადგილს უთმობდა.

გაზეთმა „რეზონანსმა“ ყველაზე მეტად „ქართული ოცნება“ (41%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (22%) გააშუქა. სხვა პოლიტიკური პარტიებისთვის დათმობილი ფართობი ბევრად ნაკლები იყო და, ხშირ შემთხვევაში, 4%-ს არ აღემატებოდა.

სუბიექტები, საშუალოდ, 85% ნეიტრალურ ტონში გაშუქდნენ. პოლიტიკური სუბიექტების მიმართ მკვეთრად უარყოფითი განცხადებები იშვიათად, ისიც მხოლოდ ერთმანეთის მიმართ კრტიკულად განწყობილი რესპონდენტებისგან ისმოდა. როგორც „ქართული ოცნების“, ასევე ოპოზიციის მისამართით გამოთქმულ კრიტიკულ შეფასებებს ასევე ვხვდებოდით რუბრიკაში „მოსაზრება“, სადაც საზოგადოების წარმომადგენლეთა წერილები იბეჭდებოდა. მაგალითად: „არც ისეთი ხელისუფლებაზე ამძუვნეული ხვადები და ძუები გვინდოდა, რომლებსაც ფეხებზე ჰკიდიათ მათივე ამრჩევი ხალხი და პარლამენტში არ შევალთო, ზუზუნებენ. მთლიანად ხელისუფლება გვინდაო... ამათ მართლა ჰგონიათ, რომ


არჩევნები თვითონ მოიგეს... რომ არა ბიძინა ივანიშვილი, რასაც მოიგებდით, კარგად მოუჭერდით ხელს!“ (სოლომონ ნერგაძის წერილი „არაპოლიტიკური მოთხოვნები (ანუ მე ჩვენი საქართველო მინდა), 16.02, გვ.9).

ჟურნალისტები სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდნენ, თუმცა მწვავე, კრიტიკულ კითხვებს კვლავაც ნაკლებად სვამდნენ. სტატიებში რომელიმე პოლიტიკოსის ან პოლიტიკური ძალის მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულება არ იგრძნობოდა.

## სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)


### გაზეთი "რეზონანსი"

1 თებერვალი - 31 მარტი, 2021



გაზეთი აქტიურად აშუქებდა არჩევნების შემდგომ პერიოდში ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს. ინფორმაციებში, პოლიტიკოსების განსხვავებულ მოსაზრებებთან ერთად, ექსპერტების შეფასებები და ანალიზიც გვხვდებოდა. ყველა აქტუალური პოლიტიკური მოვლენა ამომწურავად და მიუკერძოებლად შუქდებოდა, არ გვხვდებოდა დაუსაბუთებელი მსჯელობის ან გაურკვეველ, საეჭვო წყაროებზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაციის გავრცელების შემთხვევები.

## თემების გაშუქება გაზეთი "რეზონანსი" 1 თებერვალი - 31 მარტი, 2021



\* დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

„რეზონანსის“ ჟურნალისტები არ იყენებდნენ სიმბოლურ ენას და ხელს არ უწყობდნენ სხვადასხვა სახის, მათ შორის გენდერული, სტერეოტიპების გავრცელებას.

## გაზეთი „ახალი თაობა“

ყოველდღიური გაზეთი „ახალი თაობა“ არჩევნების შემდგომ ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს აქტიურად აშუქებდა. გამოცემა კვლავაც მეტ-ნაკლებად დაბალანსებული იყო. სუბიექტების გაშუქებისას არ გვხვდებოდა ჟურნალისტური ნორმების დარღვევის ან მიკერძოების შემთხვევები.

გაზეთმა ყველაზე მეტი ფართობი „ქართული ოცნებას“ (23%) და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (21%) დაუთმო. მათ 5-5%-ით მოჰყვებოდა „ქართული ოცნების“ ყოფილი




თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი და ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელთა ნეიტრალურ და უარყოფით ტონებში გაშუქების მაჩვენებლებიც თითქმის თანაბარია. მონიტორინგის სხვა სუბიექტები, საშუალოდ, 80% ნეიტრალურად გაშუქდნენ.

## სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

### გაზეთი "ახალი თაობა"

1 თებერვალი - 31 მარტი, 2021




წინასაარჩევნო პერიოდის მსგავსად, მიუხედავად იმისა, რომ მმართველი პარტია ყველაზე მეტად გაშუქებული სუბიექტი იყო, მისი წევრების ინტერვიუებსა და კომენტარებს გამოცემა ადგილს ნაკლებად უთმობდა - „ახალი თაობის“ რესპონდენტების უმრავლესობა ოპოზიციის წარმომადგენლები იყვნენ, რამაც მმართველი პარტიის უარყოფითი ტონი განსაზღვრა.

ოპოზიციის წარმომადგენელთა ინტერვიუების სიმრავლემ, გარკვეულწილად ისიც განაპირობა, რომ მონიტორინგისთვის საყურადღებო თემებიდან ყველაზე მეტი მასალა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის, ნიკა მელიას საქმეზე გამოქვეყნდა. მაგალითად: „მელიას დაკავება ოცნებას ძვირად დაუჯდება“ (ინტერვიუ „ლეიბორისტული პარტიის“ წევრ ლაშა ჩხარტიშვილთან, 15.02, გვ.4); „შოთა მალაშხია: მელია არ უხდის გირაოს უკანონო ხელისუფლებას“ (8.02, გვ.2); „მელიას არ დავაჭერინებთ“ (ინტერვიუ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრ თინა ბოკუჩავასთან, 9.02, გვ.2); „მელიას დაკავებით ხელისუფლებამ რუსეთს მონური მორჩილება დაუმტკიცა“ (ინტერვიუ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრ რომან გოცირიძესთან, 31.03, გვ.3); „ნიკა მელია გავრილოვს გირაოს არ გადაუხდის“ (ინტერვიუ „ემსახურე საქართველოს“ ლიდერ მურმან დუმბაძესთან, 26.02, გვ.3).



## თემების გაშუქება (%) გაზეთი "ახალი თაობა" 1 თებერვალი - 31 მარტი, 2021



\* დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

„ახალ თაობაში“ ნაკლებად გვხვდებოდა ანალიტიკური და სიღრმისეული სტატიები. ქვეყანაში განვითარებული პროცესების შესახებ ინფორმაციის მიღება, ძირითადად, ინტერვიუებიდან იყო შესაძლებელი. ჟურნალისტები პროფესიული სტანდარტების დაცვით მუშაობდნენ: გაზეთში არ გვხვდებოდა ფოტოთი მანიპულირების შემთხვევები და არც ჰომოფობიური, ან რომელიმე გენდერული ნიშნის მიმართ სიძულვილის შემცველი განცხადებები.

## გაზეთი „ასავალ-დასავალი“

ყოველკვირეული გაზეთი „ასავალ-დასავალი“ წინასაარჩევნო პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, თუმცა ამ პერიოდში მოიმატა შეურაცხმყოფელი შინაარსის ფოტოებმა, ხოლო ნეიტრალური შინაარსის ფოტოებზე, ზოგ შემთხვევაში, უარყოფითი ხასიათის წარწერები კეთდებოდა.

გამოცემა თითქმის ყველა პოლიტიკური სუბიექტის მიმართ უარყოფითი განწყობით გამოირჩეოდა. კრიტიკული გაშუქება, ხშირ შემთხვევაში, ჟურნალისტების სუბიექტურ, დაუსაბუთებელ მსჯელობას ეფუძნებოდა. გაზეთი დიდ ფართობს უთმობდა ინტერვიუებს ისეთ რესპონდენტებთან, რომლებიც ოპოზიციაში მყოფი პოლიტიკოსების მიმართ მკვეთრად კრიტიკული განწყობით გამოირჩეოდნენ. მათ განცხადებებში ხშირად გვხვდებოდა დაუსაბუთებელი ბრალდებები და შეურაცხმყოფელი გამონათქვამები, თუმცა ჟურნალისტები მათგან გამიჯვნას არ ცდილობდნენ.

გაზეთმა „ასავალ-დასავალმა“ მონიტორინგის პერიოდში ყველაზე მეტად ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი (29%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (28%) გააშუქა. მათ 12%-ით მოჰყვება „ქართული ოცნება“. პოსტსაარჩევნო პერიოდში ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში აქტიურად ჩართული პოლიტიკური გაერთიანებებიდან შედარებით ვრცლად გაშუქდნენ „ლელო საქართველოსთვის“ (9%) და „ევროპული საქართველო“ (5%), ხოლო დანარჩენი სუბიექტების გაშუქება ბევრად ნაკლები იყო და, უმეტესად, 2%-ს არ აღემატებოდა.

სუბიექტების გაშუქების ტონი, საშუალოდ, 62% უარყოფითი იყო. კრიტიკული, მწვავე და ხშირ შემთხვევაში შეურაცხმყოფელი განცხადებები უფრო ოპოზიციური პარტიების და განსაკუთრებით ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მისამართით კეთდებოდა. მაგალითად: „ნაციონალური მოძრაობის გაკეთილშობილება ისევე შეუძლებელია, როგორც ქაქისგან ხაჭოს გამოყვანა ან სალამურის გამოთლა სხეულის იმ ნაწილიდან, რომელზეც სააკაშვილს საქართველო ეკიდა, ჰკიდა და მომავალშიც დაიკიდებს“ (8.02, გვ.8); „სარკოზი „ვირის აბანოში“ მიაბრძანეს და სააკაშვილი ვინ ვირის ფეხებია?!“ (8.03, გვ. 13).

სტატიაში „გაიღეთ მოწყალეობა სააკაშვილის მათხოვრებისათვის“ (15.03, გვ.2), სადაც მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზეა საუბარი, ოპოზიციის ლიდერები სააკაშვილის მათხოვრებად არიან მოხსენებული: „თქვენ წარმოიდგინეთ, ოდესის ყოფილი გუბერნატორი, რომელიც ქართულ პოლიტიკაში „ოსტაპ ბენდერის“ როლის შესრულებას ცდილობს, იმდენსაც ვეღარ ახერხებს, რომ ქუჩაში რევოლუციის მოსაწყობად საკუთარი პარტიის ამომრჩეველთა 10 პროცენტზე კი გამოიყვანოს... გაიღეთ მოწყალეობა სააკაშვილის მათხოვრებისთვის და ისევ იქნება ახალი 7 ნოემბერები და 26 მაისები...“. სტატიის სათაურს გაზეთის პირველი გვერდი მთლიანად უკავია და მასზე სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის ლიდერების ფოტოები კინოფილმ „12 სკამის“ პერსონაჟ კისა ვორობიანიწვითან ერთად არის გამოქვეყნებული. მიხეილ სააკაშვილის გაშუქების უარყოფითი ტონის დიდ ნაწილს სწორედ მსგავსი, შეურაცხმყოფელი ფოტოკოლაჟები შეადგენს.


„ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ერთად „ასავალ-დასავალში“ განსაკუთრებით უარყოფითად „ლელო საქართველოსთვის“ და მისი ერთ-ერთი ლიდერი მამუკა ხაზარაძე შუქდებოდა. გამოცემა არ ერიდებოდა მათი მისამართით თავისი ნეგატიური დამოკიდებულების გამოხატვას და სხვადასხვა სახის ბრალდების წაყენებას: „ხაზარაძეც, ჯალათი შაშურკინივით, სააკაშვილის მიერ დატუსაღებულებს ზღურბლზე ელოდა და მართალია, შაშურკინივით არ ხვრეტდა, მაგრამ ქონებებს ეპატრონებოდა“ (29.03, გვ.4); „დავკარგეთ აფხაზეთი, დავკარგეთ სამაჩაბლო, მამუკა ხაზარაძემ და მისთანა შულერებმა გაძარცვეს და ბანკებში გადანახული დასამარხი ფული არ შეარჩინეს ხალხს!... ახალგაზრდა საბა ბუაძე, რომელსაც ღმერთმა უწყის სა ბაბუასთან მიათრევს მამუკა ხაზარაძე, ტუალეტის საშიში სექტის კლანჭებიდან უნდა დავიხსნათ!“ (22.02., გვ.8).

„ასავალ-დასავალმა“ დადებით კონტექსტში მხოლოდ „ქართული ოცნების“ ყოფილი თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი გააშუქა. თუმცა, მის მიმართ პოზიტიურ განწყობებს, უმეტესწილად, რესპონდენტები გამოხატავდნენ. მაგალითად: „ბიძინა ივანიშვილი ჭკვიანი კაცია და ტყუილად არაფერს ამბობს“ (ინტერვიუ პროფესორ იგორ კვესელავასთან 22.02, გვ.18); „ბატონმა ბიძინამ სწორად შეაფასა მოვლენები, ხალხის მხარეს დადგა და გადაწყვიტა დაესრულებინა საქართველოში გაუგონარი ავტორიტარული ძალადობა“ (ინტერვიუ მხატვარ ნიკუშა შენგელაიასთან, 8.03, გვ.20); „საქართველოს ბევრჯერ დასჭირდება და მოენატრება ბიძინა ივანიშვილი... ივანიშვილი სადაც არ უნდა იყოს, მისი გავლენა საკუთარ სამშობლოზე მუდმივად იქნება ისეთი, როგორც არის მთვარის გავლენა დედამიწაზე“ (ინტერვიუ მწერალ კობა არაბულთან, 8.02, გვ.7).

### სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

#### გაზეთი "ასავალ-დასავალი"


1 თებერვალი - 31 მარტი, 2021



მონიტორინგის პერიოდში გაზეთში გამოქვეყნდა გამოგონილი ინტერვიუები, რომელთა რესპონდენტებიც 2014 წელს გარდაცვლილი ექსპრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე („მელია, მელაძე, მელაშვილი და თეთრი მელა“, 15.02, გვ.5) და რუსი პოლიტიკოსი სერგეი გავრილოვი („სერგეი გავრილოვი: ჩემი გვართ მანიპულირებას და ქართველი ხალხის მოტყუებას თავი დაანებონ!“, 22.02, გვ.6) იყვნენ. „რესპონდენტები“ პოსტსაარჩევნო პერიოდში ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს აფასებდნენ.

მონიტორინგის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იმ თემების გაშუქებას, რომლებიც პოსტსაარჩევნო პერიოდში ქვეყანაში განვითარებულ პროცესებს უკავშირდებოდა. გამოცემამ ყველაზე მეტი (8) სტატია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერის, ნიკა მელიას საქმეზე გამოაქვეყნა. ჟურნალისტები არ ერიდებოდნენ ნიკა მელიას და მასთან დაკავშირებული სუბიექტების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გამოხატვას და არაეთიკური ტერმინოლოგიის გამოყენებას: „მელიამაც და მელაძემაც თავიანთი ბედ-იღბალი მელიტოპოლის მატარებლის შერეკილ მემანქანეს მაშინ მიაბარეს, როცა მელიტოპოლის მატარებელში თავიანთი ნებით ავიდნენ. ასე რომ, ახლა ჩვენ მელიტოპოლის მატარებლის შერეკილ მემანქანეს რამდენიც არ უნდა ვეხვეწოთ - სააკაშვილო, გამოუშვი მელია და ნუ მოკლავ მელაძესო - ეს მგლის თავზე სახარების კითხვას დაემსგავსება“ (29.03, გვ.2).

### თემების გაშუქება (%) გაზეთი "ასავალ-დასავალი" 1 თებერვალი - 31 მარტი, 2021



\* დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

გაზეთ „ასავალ-დასავალში“ მოვლენები დაუბალანსებლად, ცალმხრივად და, ხშირ შემთხვევაში, მიკერძოებულად შუქდებოდა. გამოცემაში მრავლად გვხვდებოდა ჟურნალისტური სტანდარტების და ეთიკის ნორმების დარღვევის, სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები. თუმცა, წინასაარჩევნო პერიოდისგან განსხვავებით, პოლიტიკოსების მიმართ გენდერული ნიშნით საფრთხის შემცველი ან ჰომოფობიური გამონათქვამები არ დაფიქსირებულა.

## გაზეთი „კვირის პალიტრა“

ყოველკვირეული გამოცემა „კვირის პალიტრა“ არჩევნების შემდგომ პერიოდში ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს აქტიურად აშუქებდა. სტატიებსა და ინტერვიუებში ჟურნალიეტების მხრიდან რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან პოლიტიკოსის მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულება არ შეინიშნებოდა. ჟურნალისტები ცდილობდნენ მოვლენები სხვადასხვა პოზიციიდან გაეშუქებინათ.

გაზეთმა მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე მეტად „ქართული ოცნება“ (28%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (16%) და „მოქალაქეები“ (11%) გააშუქა. მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილი მთლიანი ფართობის 9% ერგო „ლელო საქართველოსთვის“, ხოლო 8% - „გირჩს“.


სუბიექტების გაშუქების, საშუალოდ, 85% ნეიტრალურ ტონზე მოდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტები არ ერიდებოდნენ კითხვების დასმას და ცდილობდნენ საკითხები სიღრმისეულად და კრიტიკულად გაეშუქებინათ, უარყოფით ტონს, უმეტესწილად, მაინც პოლიტიკოსთა ერთმანეთის მიმართ გამოთქმული განცხადებები განაპირობებდა.

პოსტსაარჩევნო პერიოდში შედარებით მოიმატა ინტერვიუებმა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან, რომლებიც, ძირითადად, „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მოქმედებებს აკრიტიკებდნენ და მათ ქვეყანაში შექმნილ კრიზისში ადანაშაულებდნენ. მაგალითად: „ქართული ოცნების ერთ-ერთი მთავარი რგოლი ნაციონალური მოძრაობაა... ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ მთავარი „ფოკუსნიკი“ ქართული ოცნებაა, რომელსაც აწყობს ეს მოცემულობა და პოლარიზაცია... ნაცმოს აქვს თავისი ჭერი და ვერ ვითარდება. მოსახლეობას ასე უცებ და იოლად არ დაავიწყდება ეს რეჟიმი“ ინტერვიუ „ჩვენი საქართველო-სოლიდარობის ალიანსის“ ლიდერ ლევან გოგიჩაიშვილთან, 1.03, გვ.5); „ოცნების გუნდში დარჩენილი რადიკალები ტყუილად ფიქრობენ, რომ ხისტი განცხადებებით შეგვაშინებენ და ჩვენს წინააღმდეგობას წელში გადატეხენ... ოცნება ისე უნდა გავუშვათ ხელისუფლებიდან რომ სააკაშვილი არ დაბრუნდეს უკან“ (ინტერვიუ „ლელო საქართველოსთვის“ ერთ-ერთ ლიდერ ბადრი ჯაფარიძესთან, 22.02, გვ.6); „მე არ ვიცი მოკავშირეები არიან თუ სიბრძვიით მოსდით ეს




ყველაფერი, მაგრამ ცხადია „ქართული ოცნება“ დაბარებულივით უსრულებს სააკაშვილს ყველა ჩანაფიქრს... სააკაშვილი ლამის ტელევიზორიდან გამოძვრეს, ერთ ამბავშია, სკამზე ვეღარ ჩერდება, უკვე დაალაგა რევანშისა და შურისძიების გეგმა. იმასაც ექნება გამზადებული ჩამოსახრჩობებისა და დასახვრეტების სია, ლატაკი და საცოდავი ხალხი კი ყველას დავიწყებული ჰყავს.“ (ინტერვიუ „მოქალაქეების“ ლიდერ ალექო ელისაშვილთან, 22.02, გვ.7).

## სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%) გაზეთი "კვირის პალიტრა" 1 თებერვალი - 31 მარტი, 2021



პოსტსაარჩევნო მონიტორინგის პერიოდში „კვირის პალიტრაში“ ყველაზე გაშუქებადი თემა პოლიტიკური დიალოგი/მოლაპარაკება იყო. გამოცემამ ამ საკითხის სიღრმისეულ გაშუქებას დიდი ადგილი დაუთმო. გამოქვეყნდა 37 სტატია, რომლებშიც თემა სხვადასხვა რაკურსით და დაბალანსებულად იყო გაშუქებული. მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა მედიაციის პროცესში მონაწილე მხარეთა პოზიციებს, მმართველი და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა მოსაზრებებს, ასევე ანალიტიკოსებისა და ექსპერტების ანალიზს.

## თემების გაშუქება (%) გაზეთი "კვირის პალიტრა" 1 თებერვალი - 31 მარტი, 2021



\* დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

გაზეთი "კვირის პალიტრა" დაბალანსებული და მიუკერძოებელია. ჟურნალისტები სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდნენ, არ იყენებდნენ სიძულვილის ენას და ხელს არ უწყობდნენ სხვადასხვა სახის, მათ შორის გენდერული, სტერეოტიპების გავრცელებას.

## გაზეთი „ქრონიკა +“

არჩევნების შემდგომ პერიოდში გაზეთი „ქრონიკა+“ ორკვირაში ერთხელ გამოდიოდა. გამოცემა მმართველი პარტიის მიმართ კვლავაც კრიტიკული და უარყოფითი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა. სუბიექტების გაშუქებისას გვხვდებოდა ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები.




წინასაარჩევნო პერიოდისგან განსხვავებით, გაზეთი ჟურნალისტების მიერ მომზადებულ ვრცელ სტატიებთან ერთად დიდ ადგილს ექსპერტებთან და პოლიტიკოსებთან ინტერვიუებს უთმობდა. შესაბამისად, სუბიექტების მიმართ გამოვლენილი ტონი, არა მხოლოდ ჟურნალისტების შეფასებებს, არამედ რესპონდენტთა განცხადებებსაც ემყარება. ვინაიდან, რესპონდენტთა უმრავლესობა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები ან მომხრეები იყვნენ, „ქართულ ოცნებას“ (68%) და ბიძინა ივანიშვილს (64%) უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაუგროვდათ. მაგალითად: „თემურ ლენგი რვაჯერ კი შემოგვესია, მაგრამ შემოიჭრებოდა და მერე ბრუნდებოდა. ეს კიდევ მეცხრე წელია თავზე აზის ამ ქვეყანას და აუბედურებს“ (ინტერვიუ „ლეიბორისტული პარტიის“ თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილთან, 22.03, გვ. 8); „ივანიშვილს, ამ პუტინის მონასა და შნირს არაქათი უნდა გამოვაცალოთ“ (ინტერვიუ „ემსახურე საქართველოს“ ლიდერ მურმან დუმბაძესთან, 22.03.გვ 15); „ქოცები ყველაზე სულელები, უპასუხისმგებლოები და ამორალურები არიან!“ (ინტერვიუ „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერ კახა კუკავასთან, 22.02, გვ.14).

მონიტორინგის პერიოდში „ქრონიკა+“- მა ყველაზე მეტად „ქართული ოცნება“ (23%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (14%) და „სტრატეგია აღმაშენებელი“ (10%) გააშუქა. სხვა პოლიტიკური გაერთიანებების გაშუქება, უმეტეს შემთხვევაში, 4% არ აღემატებოდა. მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილი მთლიანი ფართობის 11% ბიძინა ივანიშვილს, ხოლო 4% მიხეილ სააკაშვილს ერგოთ.

## სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

### გაზეთი "ქრონიკა+"

1 თებერვალი - 31 მარტი, 2021



მონიტორინგის სხვა სუბიექტები, საშუალოდ, 82% ნეიტრალურ ტონში გაშუქდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სუბიექტების მიმართ დაფიქსირებულ ტონს გარკვეულწილად რესპონდენტთა განცხადებებიც განსაზღვრავდა, ხშირ შემთხვევაში, მათთვის დასმულ კითხვებში მკაფიოდ ჩანდა ჟურნალისტების დამოკიდებულება პოლიტიკური სუბიექტების, განსაკუთრებით კი მმართველი პარტიის და მისი ყოფილი ლიდერის მიმართ. ჟურნალისტების ტექსტი და კითხვები კრიტიკულთან ერთად მიკერძოებული და ზოგჯერ შეურაცხმყოფელიც იყო. მაგალითად: „ის რასაც ჩვენ დღეს ვხედავთ, ქართული ოცნების მახინჯ სახეს კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს... ქართული ოცნების ფასეულობათა სისტემის ნამდვილი სახე: ჯანდაბას წაუღია ყველაფერი, ეკონომიკა დაიქცეს, ქვეყანა საერთაშორისო იზოლაციაში აღმოჩნდეს, ოღონდ ნაცების ჯინაზე... ქართული ოცნება მოსახლეობას ღიად ეუბნება: საერთოდ არ გვაინტერესებს, თქვენ როგორც ხართ, რა გინდათ და რა გაწუხებთ, მიიღეთ ეს და გაჩუმდით“ (22.02, გვ.31).

ზოგ შემთხვევაში კრიტიკული შეფასებები ოპოზიციის მისამართითაც ჟღერდებოდა. მაგალითად: „ოცნება კუნთებს რომ ათამაშებს, ამაში, გარკვეულწილად, ოპოზიციის ის ნაწილიც ხომ არაა დამნაშავე, რომელიც პარლამენტში შევიდა?“ (22.02, გვ.15); „ქართულმა ოცნებამ დიდი ხნის წინ აურია, მაგრამ არც ოპოზიციაშია ყველაფერი დალაგებული“ (22.02, გვ.5).

გამოცემა აქტიურად აშუქებდა პოსტსაარჩევნო პერიოდში განვითარებულ პროცესებს, თუმცა მისი პერიოდულობიდან გამომდინარე, გაზეთი მკითხველს უფრო გასული აქტუალური მოვლენების მიმოხილვას და ანალიზს სთავაზობდა. ყველაზე მეტი (11) სტატია პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას გადადგომასა და მთავრობაში მიმდინარე ცვლილებებზე მომზადდა. სტატიებში, რომლებიც, ძირითადად, „სანდო წყაროსგან“ მიღებულ ინფორმაციებს ეფუძნებოდა, მმართველი პარტიის ლიდერების მიმართ სხვადასხვა სახის ბრალდებები ისმოდა. მაგალითად: „როგორც ჩვენი წყარო გვიყვება, შუამავალმა მათ ივანიშვილის დანაბარები გადმოსცა, რომელიც სიტყვა-სიტყვით ასე ჟღერდა: დაგიჭამიათ ერთმანეთი, ესენი ისედაც ერთმანეთს ჭამდნენ. განსაკუთრებით ირაკლი კობახიძე იყო გამწარებული, რომელსაც თავი უკვე პრემიერის სავარძელში წარმოედგინა“ (22.02, გვ.2); „საერთოდ, ოცნებას მეორედ მოსვლები უყვარს, რასაც კახელების კარტელის ხელმეორედ აღზევების მცდელობაც ადასტურებს, თუმცა საქმეში ჩახედულნი ამბობენ, რომ ეს აღზევება დღენაკლული იქნება და ძალაუფლებას მხოლოდ კახელების კლანი კი არა, თავად ოცნებაც მალე დაემშვიდობება“ (22.02, გვ.8).

შეურაცხმყოფელი და არაეთიკური იყო ჟურნალისტების მიერ ახლადარჩეული პრემიერის მისამართით გაკეთებული გამონათქვამებიც: „სოციოპათების ოცნება“ პრემიერ-მინისტრად აყენებს ადამიანს, რომელიც მათი უზადრუკი საზომებითაც კი გამომწვევად არაკომპეტენტური და არაფრის მაქნისია... ის დაჯგუფება, რომელიც დღეს ქვეყანას მართავს, უკეთესს ვერავის წამოაყენებდა. ელემენტარულად, არავინ არ ჰყავთ და ვერც ეყოლებათ. რაც თვითონ არიან დაკომპლექსებულები, ფსიქოლოგიური პრობლემებით, ისეთი აირჩიეს“ (22.02, გვ.31).


სტატიებსა და ინტერვიუებში, რომლებშიც მთავრობაში განხორციელებულ ცვლილებებს მიმოხილავდნენ საუბარი იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის, ნიკა მელიას დაპატიმრების შესახებაც, რაც სამთავრობო ცვლილებების მიზეზი გახდა.

ვრცლად (9 სტატია) გაშუქდა პარტიებს შორის მიმდინარე მოლაპარაკებებისა და პოლიტიკური დიალოგის თემაც. ოპოზიციური პარტიის ლიდერის, ნიკა მელიას საქმე ამ თემის განხილვის დროსაც აქტუალური იყო. რესპონდენტებთან ინტერვიუებში გაანალიზებული იყო შექმნილი ვითარება და მოვლენების შემდგომი განვითარების შესახებ ვარაუდები იყო გამოთქმული. თუმცა, ვერშემდგარი შეთანხმების გამო, ბრალდებები მხოლოდ „ქართული ოცნების“ მისამართით ისმოდა: „ვფიქრობ, ოცნებას დასავლეთის აზრი კი არაა. ყოველ შემთხვევაში, მამუკა მდინარაძემ გვითხრა, მიშელის 6-პუნქტიანი გეგმა დოკუმენტი კი არაა, უბრალოდ, მაგიდაზე დადებული მოსაზრებებიაო“ (8.03, გვ.26); „ოპოზიცია იმედოვნებდა, რომ „ოცნებას“ ევროპის შეეშინდება და უკან დაიხევსო, მაგრამ პირიქით მოხდა. „ოცნებამ“ ევროპა „ფეხზე დაიკიდა“ და გარკვეულწილად, მგონი ევროპამაც „დაგვიკიდა?“ (22.03, გვ. 24).

პარლამენტის ბოიკოტის თემაზე მომზადებული 4 მასალიდან ერთ-ერთი იყო ინტერვიუ სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენელთან, პარლამენტის წევრ ლადო კახაძესთან. რესპონდენტის, ასევე პარლამენტში შესული პარტიების მიმართ ჟურნალისტის დამოკიდებულება და კითხვები კრიტიკული და ხისტია: „ქვეყანა ინგრევა და თქვენ კარგად როგორ ხართ?... „ყველაზე მთავარი, მგონი, ისაა, რომ ხალხს ხელისუფლების არ სჯერა!... რომელი კომისია, ელისაშვილის? ახლა, არ გამაგიჟოთ - ელისაშვილი პირველ ნოემბერს „ოცნებას“ დედას აგინებდა, ახლა კი ტაშს უკრავს და მის კომისიას როგორ უნდა ვენდოთ?!“ (8.02, გვ.22).

### თემების გაშუქება (%) გაზეთი "ქრონიკა+"

1 თებერვალი - 31 მარტი, 2021



\* დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

მონიტორინგის შედეგები გვჩვენებს, რომ „ქრონიკა+“-ში არჩევნების შემდგომ პერიოდშიც შენარჩუნდა მოვლენების ცალმხრივად და სუბიექტურად გაშუქების ტენდენცია - კვლავაც გვხვდებოდა დაუსაბუთებელი მსჯელობის, შეურაცხმყოფელი და არაეთიკური ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები. თუმცა, წინასაარჩევნო პერიოდისგან განსხვავებით, პოლიტიკოსების მიმართ გენდერული ნიშნით საფრთხის შემცველი განცხადებები არ დაფიქსირებულა.

## გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“

ყოველკვირეული გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ საერთაშორისო თემების მიმოხილვას უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა, ვიდრე ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს. საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები არჩევნების შემდგომ პერიოდშიც, ძირითადად, საერთაშორისო ურთიერთობათა ჭრილში განიხილებოდა. გამოცემა კვლავაც პრორუსული და ანტიდასავლური განწყობით გამოირჩეოდა.


„საქართველო და მსოფლიომ“ მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე მეტად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (27%), „ქართული ოცნება“ (22%) და „ქართულ იდეა“ (19%) გააშუქა. მათ 10-10% მოჰყვებოდა „ევროპული საქართველო“ და ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

გამოცემა დაკვირვების ქვეშ მყოფი თითქმის ყველა პოლიტიკური სუბიექტის მიმართ კრიტიკულად იყო განწყობილი - მათი გაშუქება, დიდწილად, ნეგატიურ ჭრილში ხდებოდა. შესაბამისად, პოლიტიკოსებისთვის დათმობილი ფართობის, საშუალოდ, 60% უარყოფით ტონზე მოდის. გამონაკლისია „ქართული იდეა“, რომელიც მხოლოდ ნეიტრალურად გაშუქდა.

მმართველი პარტია, ისევე როგორც ოპოზიციური პარტიები და ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჟურნალისტების და მათი რესპონდენტების მხრიდან მწვავე კრიტიკის ობიექტი იყო: „სახელმწიფო გვაქვს თუ ბანანის რესპუბლიკა?!... სისხლიანი ცხრა წლის ძახილით ხელისუფლებაში მოსულმა გუნდმა იმდენი მოახერხა, რომ იმ სისხლიანი რეჟიმის შემქმნელებს ფიანდაზი დაუგო კვლავ ხელისუფლებაში დასაბრუნებლად... ცუდსა და უარესს შორის აკეთებდა ხალხი არჩევანს და ასე იყო ბოლო არჩევნებზეც“ (17.02, გვ.8); „საკაშვილის მიერ გამორჩეული და ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერად დანიშნული ნიკანორ მელია, ლიდერი კი არა, სააკაშვილის „შნირია“, რომლის მსგავსი კიდევ ბევრი ჰყავს უკრაინაში გაქცეულ მამა-მარჩენალს ნათელაშვილის ფანჩატურში“ (3.03, გვ.3).

## სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%) გაზეთი "საქართველო და მსოფლიო"

1 თებერვალი - 31 მარტი, 2021




არჩევნების შემდგომ პერიოდში ქვეყანაში განვითარებული მოვლენებიდან ყველაზე მეტი მასალა ნიკა მელიას საქმეზე გამოქვეყნდა. გამოცემა ოპოზიციური პარტიის ლიდერის მიმართ მკვეთრად ნეგატიურ დამოკიდებულებას არ მალავდა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს სუბიექტურად აშუქებდა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერის მიმართ გამოთქმული შეფასებები უარყოფითი, არაეთიკური და, ზოგ შემთხვევაში, შეურაცხმყოფელი იყო: „ჩვენც გვყავს კისა ვორობიანიანოვი ნიკა მელიას სახით, რომელიც ვიზუალურადაც ისე ჰგავს „რუსეთის დემოკრატიის მამას“ რომ, თუ კარგად არ დააკვირდი, კინოფილმ „12 სკამის“ ერთ-ერთი გმირი კისა ვორობიანიანოვი გეგონება... დააპატიმრებს გათავხედებულ ნიკანორ მელიას ირაკლი ღარიბაშვილი? ჩემს (და არა მხოლოდ) თვალში გმირი იქნება, მაგრამ, რომ იტყვიან, უკვანტავი საქმე, რატომ გაიხადეს საკვანტავად ქოცებმა და ქართველი კისა ვორობიანიანოვის დაპატიმრება მანამდე რატომ არ გადაწყვიტეს, სანამ თავხედური განცხადებებით, ვერ დამიჭერთო, უკაცრავად და, სრულიად საქართველოს თავზე არ დააკუკა?“ (24.02, გვ.4).



## თემების გაშუქება (%)

### გაზეთი "საქართველო და მსოფლიო"

1 თებერვალი - 31 მარტი, 2021



\* დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

„საქართველო და მსოფლიო“ მკაფიოდ პრორუსული გაზეთია. ჟურნალისტები ყოველთვის აფიქსირებდნენ საკუთარ ანტიდასავლურ შეხედულებებს და ზოგ შემთხვევაში საკმაოდ უხეში ფორმებითაც. მაგალითად, სტატიაში „ხელისბიჭების ჩემპიონატი“ ვკითხულობთ: „ლიბერალისტული დასავლეთი ქოცების წინააღმდეგაა აფოფრილი, იქამდეც კი, რომ მელიას დაპატიმრებას პუტინისთვის მირთმეული საჩუქარი უწოდა... ზემოთ ირაკლი ღარიბაშვილის კახელობის ხაზგასმის მიზეზს ქვემოთ გეტყვით-მეთქი და აჰა: ნიკანორ მელია ხომ ჩააყუდე „ვირის აბანოში“. ჰოდა, ერთი მაგ ევროპა-ამერიკელებსაც კახურად ლაზათიანად მაეფერე - „ყველამ თავის კახპა მამიდას მოუაროს-თქო და მართლა გმირი იქნები, ჯოო! გაიგე?“ (3.03., გვ.3); „დასავლეთი ცდილობს, ქართველ ხალხს ხელისუფლებაში კვლავ ნაციონალური მოძრაობა ჩაუდოს გუგულის კვერცხვით, თუ ასე მოხდება, ისინი ძალაუფლების შენარჩუნების გამო ორ გვამს აღარ იკმარებენ“ (31.03., გვ.2); „საქართველოს ყელზე ყულფი ვიწროვდება. ეს ამერიკული ყულფია. ფარულ ჩანაწერებში, რომლებიც ივანიშვილის ოჯახს ეხება და რომელთა გამოქვეყნება უკვე დაიწყეს, სხვა რომელიმე სახელმწიფოს ხელი თუ ურევია. ეს სახელმწიფო, პირველ რიგში, ამერიკაა, ვინაიდან მის ინტერესებში შედის არსებული ხელისუფლების ნაციონალური ხელისუფლებით ჩანაცვლება“ (10.03, გვ.6).

გაზეთში ასევე მრავლად გვხვდებოდა ანტიევროპული და განსაკუთრებით ანტიამერიკული განწყობის გამომხატველი კარიკატურები, სადაც საქართველოს მიმართ დასავლეთის დამოკიდებულება და დასავლური ღირებულებები იყო გამარჯვებული.

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ არჩევნების შემდგომ პერიოდშიც შენარჩუნდა მოვლენების სუბიექტურად, ანტიდასავლურ ჭრილში გაშუქების ტენდენცია. გამოცემაში გვხვდება დაუსაბუთებელი მსჯელობის, შეურაცხმყოფელი და არაეთიკური ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევებიც, თუმცა პოლიტიკოსების მიმართ გენდერული ნიშნით საფრთხის შემცველი განცხადებები არ დაფიქსირებულა.

## გაზეთი „ალია“

ყოველკვირეული გაზეთი „ალია“ ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს აქტიურად აშუქებდა - გაშუქდა პოსტსაარჩევნო პერიოდის თითქმის ყველა აქტუალური თემა. წინასაარჩევნო პერიოდისგან განსხვავებით, გამოცემა ეკონომიკურ და სოციალურ თემებსაც აშუქებდა.

ჟურნალისტები კვლავაც არ ერიდებოდნენ დაუსაბუთებელ ბრალდებებს და საეჭვო წყაროზე დაფუძნებული ინფორმაციის გავრცელებას. თუმცა, წინასაარჩევნო პერიოდის მსგავსად, ახლაც ნაკლებად გვხვდებოდა არაეთიკური და სიძულვილის ენის შემცველი ტერმინოლოგია; ფოტოებიც, ძირითადად, ნეიტრალური იყო და მასზე გამოსახული პოლიტიკოსების მკვეთარდ უარყოფითად წარმოჩენას ან დისკრიმინაციას არ ისახავდა მიზნად.

გაზეთმა „ალიამ“ ყველაზე მეტად „ქართული ოცნება“ (29%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (19%) გააშუქა. მთლიანობაში მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილი ფართობის 11% „ქართული ოცნების“ ყოფილ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილს ერგო, ხოლო 9% - ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს.

სუბიექტების გაშუქების ტონი, მეტწილად, უარყოფითი იყო. გამოცემა თითქმის ყველა პოლიტიკური ძალის მიმართ კრიტიკული და, ზოგჯერ, უარყოფითი განწყობით გამოირჩეოდა. გამონაკლისს წარმოადგენდა „ქართული მარში“, რომელიც მხოლოდ ნეიტრალურად გაშუქდა.


„ალია“ კრიტიკულად იყო განწყობილი როგორც „ქართული ოცნების“, ასევე ოპოზიციურ პარტიების მიმართ. ზოგ შემთხვევაში, ჟურნალისტების ტექსტებსა და შეკითხვებში სუბიექტური შეფასებებიც გვხვდებოდა. მაგალითად: „თქვენ თქვით, რომ ხალხს ეშინია ნაციონალური მოძრაობის მოსვლის და მათი რევანშის, მაგრამ, თუ აკვირდებით, სხვა შიშაც გაჩნდა ქვეყანაში, ხალხს „ოცნების“ დარჩენისაც ეშინია და თვლიან, რომ ნელი ტანჯვით გვხოცავს „ოცნება“ (ინტერვიუ მწერალ მერაბ შათირიშვილთან, 22.02, გვ.11); „/



ბიძინა ივანიშვილმა/დაიხურა ქუდი, გაიხურა კარი და ახლა ღრიჭოდან დააკვირდება მისი ბედოვლათების ბრიგადა როგორ იცოდვილებს სახელისუფლებო ტახტის შენარჩუნებას“ (15.02, გვ. 13).

## სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%) გაზეთი "ალია"

1 თებერვალი - 31 მარტი, 2020



გამოცემაში, წინასაარჩევნო პერიოდის მსგავსად, ახლაც გვხვდებოდა ინფორმაციის საეჭვო წყაროებზე დაყრდნობით მომზადებული მასალები. „ალია“ დიდი ადგილს უთმობდა პოლიტიკური კულუარებოდან გამოსულ ინფორმაციებს. ხშირ შემთხვევაში სტატია „ოცნების“ მაღალჩინოსნის“, „ოცნების“ აქტივისტის“ ან „ყოფილი მაღალჩინოსნის“ მიერ მიწოდებულ ინფორმაციებზე იყო აგებული და მკითხველს ამა თუ იმ პოლიტიკური პროცესისა თუ აქტუალური თემის განვითარების სხვადასხვა ვერსიას სთავაზობდა. მაგალითად: „გაგეცინებათ და არსებული რეალობის პარალელურად არა ერთი და ორი ადამიანი უკვე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ჩალიჩობს...“ „ოცნების“ კარზე რიგი დადგადა ყველა ცდილობს ლიდერებს თავი მოაწონოს. ნაწილი კობახიძესთან ცდილობს საქმის „გაიმასქნებას“, ნაწილი კი გახარიასთან, კალაძესთან, წულუკიანთან, ღარიბაშვილთან“ (8.02, გვ.4); „უშიშროების ყოფილმა თანამშრომელმა მიხეილ სააკაშვილის აგეტურული საქმიანობის შესახებ „ალიას“ ინტერვიუ მისცა, თუმცა გასაგები მიზეზების გამო მის ვინაობას ინკოგნიტოდ ვტოვებთ“ (1.02., გვ.10).

არჩევნების შემდგომ პერიოდშიც, „ალიაში“ ინფორმაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს სოციალური ქსელის სტატუსები წარმოადგენდა. მათში გამოთქმული მოსაზრებები, ხშირ შემთხვევაში, კონკრეტული პოლიტიკოსის მისამართით კრიტიკულ, ხანდახან არაეთიკურ გამონათქვამებს შეიცავდა.

მონიტორინგის პერიოდში „ალია“ ასევე აგრძელებდა კროსვორდებში პოლიტიკური შინაარსის შეკითხვების გამოქვეყნებას. მათში სხვადასხვა პარტია და პოლიტიკოსი იყო გამარჯვებული, ხოლო შეკითხვები, ზოგ შემთხვევაში, შეურაცხმყოფელი იყო.


მონიტორინგის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იმ თემების გაშუქებას, რომლებიც პოსტსაარჩევნო პერიოდში ქვეყანაში განვითარებულ პროცესებს უკვშირდებოდა. ამ პერიოდის აქტუალური თემებიდან ყველაზე მეტი მასალა მთავრობის ცვლილებასა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის, ნიკა მელიას ირგვლივ განვითარებულ მოვლენების შესახებ მომზადდა.

ნიკა მელიას საქმეზე გამოქვეყნებულ სტატიებსა და ინტერვიუებში განსხვავებული პოზიციები იყო ნაჩვენები. მაგალითად, 1 მარტის ნომერში (გვ.19-20), ერთის მხრივ, დაიბეჭდა ტელეკომპანია „მთავარზე“ გასული ნიკა მელიას ინტერვიუს საგაზეთო ვარიანტი და, მეორეს მხრივ, ამავე ნომერში გამოქვეყნდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერის და ოპოზიციური სპექტრის მისამართით საკმაოდ კრიტიკული, ჟურნალისტ ნანა სულავას ღია წერილი, სადაც ის ამერიკელ კონგრესმენებსა და სენატორებს, ევროპელ დეპუტატებს და ევროპის სახალხო პარტიის წევრებს მიმართავს: „თქვენი სანაქებო ნიკანორ მელია არ არის „გავრილოვის პატიმარი“. მას თავისუფლად შეეძლო, გავრილოვის ვიზიტის გაპროტესტება მშვიდობიანი გზით და არა პარლამენტში შეჭრის მოწოდებით, მაგრამ ის შეგნებულად წავიდა პროვოკაციაზე და პოლიციასთან დაპირისპირებაზე და მან ეს გააკეთა სააკაშვილის მითითებით“.

გაზეთში მთავრობაში მიმდინარე ცვლილებებს პოლიტიკოსებთან ერთად, ექსპერტებსა და საზოგადოების წარმომადგენლებთან ინტერვიუებშიც განიხილავდნენ.

### თემების გაშუქება (%) გაზეთი "ალია"

1 თებერვალი - 31 მარტი, 2021



\* დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

„ალიას“ ჟურნალისტები არ ერიდებოდნენ მმართველი გუნდის და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მიმართ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას, თუმცა წინა სამინოტორინგო პერიოდთან შედარებით შემცირდა მწვავე და კრიტიკული მასალების რაოდენობა.

პოსტსაარჩევნო პერიოდში პოლიტიკოსების მისამართით გენდერული ნიშნით შეურაცხმყოფელი გამონათქვამების შემთხვევები არ გამოვლენილა.

## გაზეთი „გურია News“

ყოველკვირეული გაზეთი „გურია ნიუსი“, ძირითადად, რეგიონის ახალ ამბებს აშუქებდა. გამოცემა დიდ ყურადღებას უთმობდა ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის მნიშვნელოვანი თემების, ეკონომიკური და სოციალური საკითხების გაშუქებას. გამოცემა დაბალანსებული იყო და სხვადასხვა მხარეთა პოზიციებს თანაბრად წარმოაჩენდა.


„გურია ნიუსმა“ მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე მეტად „ქართული ოცნება“ (59%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (25%) გააშუქა. მათ 9%-ით მოჰყვება „პატრიოტთა ალიანსი“. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს ფართობი, უმეტესწილად, საკრებულოს სხდომების ჩანაწერების გამოქვეყნების შედეგად დაეთმო. სუბიექტები, საშუალოდ 85% ნეიტრალურ ტონში გაშუქდნენ.

გაზეთში არ გვხვდებოდა სუბიექტური, გადაუმოწმებელი და დაუსაბუთებელი ინფორმაციები. „ქართული ოცნების“ მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება, ძირითადად, ოპონენტი პოლიტიკოსების განცხადებებში ვლინდებოდა, ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სხვებთან შედარებით მაღალი დადებითი ტონი, დიდწილად, პარტიის ლიდერის მიერ ახალი წევრების წარდგენას უკავშირდება. ჟურნალისტების მხრიდან რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულება არ დაფიქსირებულა.

## სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

### გაზეთი "გურია news"

1 თებერვალი - 31 მარტი, 2021




გამოცემა აქცენტს უმეტესად ადგილობრივი ახალი ამბების, ინფრასტრუქტურული და სოციალური პრობლემების გაშუქებაზე აკეთებდა და თითქმის არ გაშუქებულა არჩევნების შემდგომ პერიოდში ქვეყანაში განვითარებული პროცესები. 22 მარტის ნომერში პარლამენტის ბოიკოტის თემაზე ვრცელი მასალა „ზოგი პლემისციტს ითხოვს, ზოგიც - არჩევნებს, ზოგიც რას ითხოვს ვერ გაიგებ!“ - გამოქვეყნდა, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის მოსაზრებები იყო ნაჩვენები და არა პოლიტიკური მხარეების.

## თემების გაშუქება (%)

### გაზეთი "გურია news"

1 თებერვალი - 31 მარტი, 2021



\* დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ.


„გურია ნიუსი“ მიუკერძოებლად და ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით მუშაობდა. გამოცემა ერიდებოდა დაუსაბუთებელ მსჯელობას და გადაუმოწმებელი ინფორმაციის გამოქვეყნებას.

## გენდერულად სენსიტიური გაშუქება

არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის დროს დაკვირვება გენდერული ნიშნით სენსიტიურ გაშუქებაზეც ხდებოდა. ყურადღება ექცეოდა ისეთ გაშუქებას და ტერმინების გამოყენებას, რომლებიც პირდაპირი ან ფარული ფორმებით საზოგადოებაში დამკვიდრებულ გენდერულ სტერეოტიპებს აძლიერებს.

გაზეთებში ქალი პოლიტიკოსების გაშუქებას ბევრად ნაკლები ადგილი დაეთმო ვიდრე კაცი პოლიტიკოსების.

გაზეთებში სუბიექტების გაშუქება  
სქესის მიხედვით (%)  
1 თებერვალი - 31 მარტი, 2021



წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის შედეგებისგან განსხვავებით, პოსტსაარჩევნო პერიოდში ჟურნალისტების მიერ ქალი პოლიტიკოსების მიმართ სექსისტური და ჰომოფობიური განცხადებები არ გაკეთებულა; არც რომელიმე გენდერული ნიშნის მიმართ სიძულვილის ან საფრთხის შემცველი შემთხვევები დაფიქსირებულა, შემთხვევები, როცა „ქალი“ და „ქალური ქცევა“ კაცი პოლიტიკოსების შეურაცხყოფისთვის გამოიყენება.

